# შპს „გამა“

# საინდეტიფიკაციო #208208198

## განმარტებითი შენიშვნები 2022 წელი

შპს „გამა“ (საინდეტიფიკაციო # 208208198)

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

## 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს “გამა“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2000 27 აპრილს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 208208198.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
- სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, მათ შორის ბუნებრივი და თხევადი აირის შესყიდვა, შემოტანა და რეალიზაცია;
- ავტო გასამართი სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება;
- ტექნიკური მომსახურების სადგურებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურების ობიექტების მოწყობა;
- ყველა სახის სავაჭრო ოპერაციების განხორციელება, ექსპორტ-იმპორტი;
- სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა იურიდილი და ფიზიკური პირებისათვის.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოილიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მეხუთედ.

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანაგარიშგებო პერიოდის 2020-2021 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.9. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსხურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;

2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია,

საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საპენსიო გადასახადი (ასაკის მიხედვით) და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;

2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.17. ორგანიზაციის საწესდები კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე;

2.18. მოგების განაწილება ხდება წილობრივი მონაწილეობის მიხედვით დამუძნებელთა კრების ოქმით. დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები და ერთი ადგილობრივი იურიდიული პირი. შესაბამისად, გადასახადების გადახდის შემდეგ, აიცემა დივიდენდი;

2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორეტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.20. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

2.21. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

**_ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა 31.12.2022_**

| ფინანსური მდგომარეობა | შენიშვნა | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1 | 184,901.00 | 299,432.00 | 130,233.00 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2 | 495,203.00 | 612,755.00 | 681,248.00 |
| სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები | 2 | 41,896.00 | 112,774.00 | 64,171.00 |
| მარაგები | 3 | 21,432.00 | 100,578.00 | 107,305.00 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 4 | 3,228.00 | 3,228.00 | 3,229.00 |
| ძირითადი საშუალებები | 4 | 2,592,555.00 | 2,347,492.00 | 2,486,451.00 |
| **_სულ აქტივები_** | | **_3,339,215.00_** | **_3,476,259.00_** | **_3,472,637.00_** |
| | | | | |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 5 | 238,625.00 | 202,681.00 | 267,380.00 |
| გადახდილი ავანსები | 5 | - | 41,067.00 | 46,959.00 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 6 | 7,670.00 | 13,377.00 | 162,230.00 |
| სხვა ვალდებულებები | 7 | 126,315.00 | 109,446.00 | 120,785.00 |
| **_სულ ვალდებულებები_** | | **_372,610.00_** | **_366,571.00_** | **_597,354.00_** |
| | | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 8 | 638,000.00 | 608,000.00 | 112,000.00 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 8 | 2,220,449.00 | 2,393,532.00 | 2,655,127.00 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 8 | 108,156.00 | 108,156.00 | 108,156.00 |
| **_სულ საკუთარი კაპიტალი_** | | **_2,966,605.00_** | **_3,109,688.00_** | **_2,875,283.00_** |
| **_სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები_** | | **_3,339,215.00_** | **_3,476,259.00_** | **_3,472,637.00_** |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)*

| # | დასახელება | თანხა 2022 | თანხა 2021 | თანხა 2020 |
|---|---|---|---|---|
| | *შემოსავალი* | | | |
| 1 | შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 7,683,323.00 | 5,629,942.00 | 4,841,696.00 |
| 2 | საწესდებო კაპიტალის შევსება | 30,000.00 | 496,000.00 | 32,000.00 |
| | *სულ შემოსავალი* | *7,713,323.00* | *6,125,942.00* | *4,873,696.00* |
| | | | | |
| | *გასავალი* | | | |
| 1 | გადახდილი ხელფასები | 397,275.00 | 333,067.00 | 325,519.00 |
| 2 | ფ/პ-ის მიერ გაწეული მომსახურება | 138,580.00 | - | 1,150.00 |
| 3 | გადახდილი გადასახადები | 952,677.00 | 702,630.00 | 723,753.00 |
| 4 | სესხის გადახდა | 13,377.00 | 148,848.00 | 138,487.00 |
| 5 | გადახდილი % | 477.00 | 13,745.00 | 28,890.00 |
| 6 | ბანკის მომსახურების ხარჯი, საკურსო სხვაობა | 12,131.00 | 21,723.00 | 2,936.00 |
| 7 | შეძენილი საქონლის ღირებულება | 4,676,042.00 | 3,610,620.00 | 3,326,908.00 |
| 8 | იჯარა | 82,057.00 | 107,448.00 | 75,175.00 |
| 9 | კომუნალური გადასახადები; კომუნიკაცია (წყალი, ელექტროენერგია; დასუფთავება) | 682,498.00 | 473,409.00 | 253,145.00 |
| 10 | გამა ქარდის ღირებულება | 153,565.00 | 76,050.00 | 71,814.00 |
| 11 | დაცვა | 4,020.00 | 2,980.00 | 2,590.00 |
| 12 | დაზღვევა | 3,168.00 | 4,254.00 | 1,926.00 |
| 13 | მომსაურება გაზის ტრანსპორტირებაზე | 98,056.00 | 103,362.00 | 67,894.00 |
| 14 | აუდიტორული მომასახურება | 9,000.00 | 3,600.00 | 6,050.00 |
| 15 | სხვა ხარჯი | 604,931.00 | 355,007.00 | 193,490.00 |
| | *სულ გასავალი* | *7,827,854.00* | *5,956,743.00* | *5,219,727.00* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | **299,432.00** | **130,233.00** | **476,264.00** |
| | | | | |
| | **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **184,901.00** | **299,432.00** | **130,233.00** |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" GEORGIA. "GAMA" LTD GAMA 208208198 საქართველო ГРУЗИЯ. ООО "ГАМА"

*შპს "გამა" (ს/კ 208208198)*

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის, ხარჯის და დაუფარავი ზარალის ანგარიშგება*

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | | | |
| საქონლის გაყიდვიდან | 4,384,220.00 | 4,055,133.00 | 3,425,932.00 |
| მომსახურების გაწევიდან | 1,491,088.00 | 209,260.00 | 242,282.00 |
| სხვა | - | 27,850.00 | 38,831.00 |
| *სულ შემოსავალი* | *5,875,308.00* | *4,292,243.00* | *3,707,045.00* |
| | | | |
| | | | |
| საოპერაციო ხარჯები | | | |
| გაყიდვების თვითღირებულება | - 4,180,600.00 | - 3,159,453.00 | - 2,815,334.00 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | - 509,059.00 | - 421,880.00 | - 413,518.00 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | - 208,494.00 | - 222,698.00 | - 243,054.00 |
| საპროცენტო ხარჯი | - | - 13,745.00 | - 28,889.00 |
| იჯარის ხარჯი | - 82,057.00 | - 82,299.00 | - 77,247.00 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | - 1,068,180.00 | - 653,328.00 | - 503,395.00 |
| *სულ საოპერაციო ხარჯები* | *- 6,048,390.00* | *- 4,553,403.00* | *- 4,081,437.00* |
| | | | |
| *საოპერაციო მოგება* | *- 173,082.00* | *- 261,160.00* | *- 374,392.00* |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

GAMA
GEORGIA "GAMA" LTD 208208198 ГРУЗИЯ. ООО "ГАМА"

შპს "გამა" (ს/კ  208208198)

შენიშვნა 1 - ფული და ფულადი

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021 წ. |
|---|---|---|---|
| 1 | თანხა საბანკო ანგარიშზე | 2,518.00 | 142,750.00 |
| 2 | ნაღდი ფული სალაროში ლარებში | 182,383.00 | 156,682.00 |
| | | | |
| | **სულ ფული და ფულადი ექვივალენტები** | **184,901.00** | **299,432.00** |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ  208208198)

## შენიშვნა  2 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021 წ. |
|---|---|---|---|
| 1 | მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 495,203.00 | 612,755.00 |
| 2 | გადახდილი ავანსები | 41,896.00 | 112,774.00 |
| | | | |
| | სულ  სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | **537,099.00** | **725,529.00** |

შპს "გამა"-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

შენიშვნა 3 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021 წ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | საქონელი | 18,842.00 | 79,471.00 |
| 2 | ნედლეული და მასალა | 1,261.00 | 15,985.00 |
| 3 | სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 1,329.00 | 5,122.00 |
| | | | |
| | | **21,432.00** | ***100,578.00*** |
| | | | |

შპს "გამა"-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

| | |
|---|---|
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2020 წელი** | **2,489,680.00** |
| მიწის ნაკვეთები | 342,361.00 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 38,022.00 |
| შენობა-ნაგებობები | 292,675.00 |
| მანქანა-დანადგარები | 1,548,149.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | 121,084.00 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 144,160.00 |
| არამატერიალური აქტივები | 3,229.00 |
| | |
| | |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წელი** | **2,350,720.00** |
| მიწის ნაკვეთები | 342,361.00 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 140,306.00 |
| შენობა-ნაგებობები | 835,845.00 |
| მანქანა-დანადგარები | 899,051.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | 53,003.00 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 76,926.00 |
| არამატერიალური აქტივები | 3,228.00 |
| | |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წელი** | **2,595,783.00** |
| მიწის ნაკვეთები | 342,361.00 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 32,348.00 |
| შენობა-ნაგებობები | 1,253,306.00 |
| მანქანა-დანადგარები | 771,973.00 |
| ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | 98,594.00 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 93,973.00 |
| არამატერიალური აქტივები | 3,228.00 |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

შენიშვნა 5 - სავაჭრო ვალდებულებები და გადახდილი ავანსები

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021 წ. |
|---|---|---|---|
| 1 | მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები | 238,625.00 | 202,681.00 |
| 2 | გადახდილი ავანსები | - | 41,067.00 |
| | | | |
| | | *238,625.00* | *243,748.00* |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

შენიშვნა 6 - სასესხო ვალდებულებები

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021 წ. |
|---|---|---|---|
| 1 | სესხი თიბისი ბანკიდან | 7,670.00 | 13,377.00 |
| | **სულ სასესხო ვალდებულებები** | **7,670.00** | **13,377.00** |
| | | | |
| | | | |

შპს "გამა "-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

საქართველო. შპს "გამა" GEORGIA. "GAMA" LTD GAMA 208208198 ГРУЗИЯ. ООО "ГАМА"

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

## შენიშვნა 7 - სხვა ვალდებულებები

| # | დასახელება | 31.12.2022 წ. | 31.12.2021წ. |
|---|---|---|---|
| 1 | საგადასახადო ვალდებულება | 16,869.00 | - |
| 2 | გადასახდელი პროცენტი | - | - |
| 3 | გადავადებული გადასახადი | 109,446.00 | 109,446.00 |
| | **სულ** | **126,315.00** | **109,446.00** |

შპს "გამა"-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

შენიშვნა 8 - კაპიტალი

| # | დასახელება | გაუნაწილებელი მოგება | საწესდებო კაპიტალი | სხვა რეზერვები და დაფინანსება | ჯამურად |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით** | **2,393,532.00** | **608,000.00** | **108,156.00** | **3,109,688.00** |
| | | | | | - |
| 2 | ცვლილებები კაპიტალში | - | 30,000.00 | - | **30,000.00** |
| 3 | საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი | - 173,083.00 | | | - **173,083.00** |
| | | | | | |
| 4 | **ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,220,449.00** | **638,000.00** | **108,156.00** | **2,966,605.00** |

შპს "გამა"-ის დირექტორი: /დ. ჩახტაური/

მთ. ბუღალტერი: /ნ. ნიკურაძე/